ნუცა ჯიღაური

დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი

ერთსაფეხურიანი პროგრამა

კავკასიის მედიცინის სკოლა

პოვისლანსკის გამოყენებით მეცნიერებათა აკადემია, პოლონეთი

ცხოვრებაში ზოგიერთი გადაწყვეტილება შეიძლება გახდეს სრულიად ახალი ეტაპის დასაწყისი. ასეთი გადაწყვეტილება ჩემთვის Erasmus+ გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა აღმოჩნდა. მიმაჩნდა, რომ საზღვარგარეთ სწავლა დიდ დაბრკოლებებთან იყო დაკავშირებული და ასეც არის, თუმცა ამ გამოცდილებამ დამანახა, რომ მიუღწეველი დღეს უკვე აღარაფერია.

პროგრამაში მონაწილეობამ მომცა შესაძლებლობა, გავცნობოდი სწავლების განსხვავებულ პრაქტიკასა და მეთოდებს, უცხო ქვეყნის კულტურას და, ამავდროულად, საკუთარი შესაძლებლობები სრულიად განსხვავებულ გარემოში გამომეცადა.

გარდა მედიცინისა, შესაძლებლობა მქონდა, გავცნობოდი საექთნო მიმართულებას და უკეთ დამენახა სხვა პროფესიის როლი ჯანდაცვის სფეროში. პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ნაწილი პრაქტიკული ლექციები იყო. ადგილობრივ საავადმყოფოებში ვიზიტების დროს საშუალება მქონდა, რეალურ კლინიკურ გარემოში მიმეღო მონაწილეობა და დავხმარებოდი ექთნებს ყოველდღიურ საქმიანობაში.

პოლონეთში გატარებული დრო ჩემთვის მხოლოდ აკადემიური განვითარებით არ შემოიფარგლებოდა. დამოუკიდებლად ცხოვრება მნიშვნელოვანი სიახლე იყო. რა თქმა უნდა, ამას ახლდა გარკვეული გამოწვევები, თუმცა თითოეული მათგანისგან ვცდილობდი, რაღაც ახალი მესწავლა და, ამავდროულად, სიამოვნება მიმეღო ამ პროცესით.

გავეცანი პოლონურ კულტურას, მათ განსხვავებულ შეხედულებებსა და ცხოვრების სტილს. შევიძინე ბევრი ახალი მეგობარი. სწორედ ამ მრავალფეროვანმა გარემომ დამანახა, რამდენად მნიშვნელოვანია განსხვავებული კულტურებისა და შეხედულებების გაცნობა პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.

დღეს, როცა ამ პერიოდს ვიხსენებ, ვხვდები, რომ Erasmus+ პროგრამა ჩემთვის მხოლოდ ერთი სემესტრის საზღვარგარეთ გატარება არ ყოფილა. ძალიან სასიხარულოა რომ, სახელმწიფოსა და საგანმანათლებლო პროგრამების მხარდაჭერა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, მიიღონ საერთაშორისო განათლება, გაეცნონ განსხვავებულ გარემოს და საკუთარი შესაძლებლობები საერთაშორისო დონეზე გამოსცადონ.